

მშობლის

ფასი 6 მანეთი.

№ 4.

ტბილისი,
დეკემბრის 14
1919 წ.

მათრასი

ორი გენერალი



ჰინდენბურგი. 200 წლის წინათ თქვენმა გენიოსმა მიუღებ პეტრე დიდმა სთქვა: თუ რუსეთი გერმანიას შეეზმის-
დაილუქებაო. 50 წლის წინათ ჯენმა გენიოსმა ბისმარკმა სთქვა: უკეთუ გერმანია რუსეთს შეეზმის-დაილუქებაო. ორ-
თავეს წინასწარმეტყველება გამართლდა...

დენიკინი. ეს კარგი და პატიოსანი: ორმა ჰქვიანმა იწინასწარმეტყველა და ასრულდა, ახლა შენ ის მითხარი მე-
სამე ჰქვიანი ვინმე ხომ არ გეგულება რომ გვირჩიოს მომავალში როგორ მოვიქცეთ.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციისგან

მოქალაქენო! დეკემბრის 12 თვისისა იღვესასწაულა სახალხო გვარდის არსებობის ორი წლის თავი. ყოველი რესპუბლიკის ერთგული მოქალაქე ვალდებული იყო ამ დიდ დღეს ხელგაშლით შეხვედროდა და დაეთმო მისთვის, რისი დათმობაც კი შეეძლო.

ჩვენც ამ ბედნიერ დღეს სახალხო გვარდისათვის დათმეთ მთელი ნომერი „ეშმაკის მათრახისა“

ერთის შეხედვით ჩვენი დათმობა თითქო დიდს არაფერს წარმოადგენს მაგრამ ვინც მეტის დაკვირვებით ჩაახედავს საგანს, ის სრულიად წინააღმდეგში დარწმუნდება.

მართლაც, წარმოდგინეთ მთელი ნომერი „ეშმაკის მათრახისა“ ეგრეთ წოდებული სერიოზული წერილებით საესე! ამგვარი სანახაობა იქნებოდა, ვსთქვათ ვალიკო ჯუღელისათვის რომ ანაფორა ჩაგეცმიათ და ქუჩაში ისე გამოგვეყვანათ.

წარმოდგინეთ, „ეშმაკის მათრახი“ სრულიად უვნებელ ილიუსტრაციებით აქრელებული, უკარიკატურით და უმათრახით. მსგავსი სანახაობა იქნებოდა თქვენ რომ ალექსანდრე დგებუაძისათვის კუტუზოვის დროინდელი გენერლის ფორმა ჩაგეცმიათ და ისე გამოგვეყვანათ გვარდის წინ.

თქენ ამას არ იზამთ. არ იზამს არც ვალიკო, მით უმეტეს არც ალექსანდრე.

ჩვენ კი ისე გვიყვარს გვარდია, რომ მისთვის ერთი ჩვენი თანამომშეთავანი გავსწირეთ.

გვარდიელის დღიურიდან.

ჯერ კიდევ ორი, თუ სამი წლისა ვიქნებოდი, როცა სამხედრო ნიჭის პირველი ნიშნები გამომაჩნდა. ახლაც მშვენივრად მახსოვს ჩემი, ასე ვსთქვათ, პირველი აქტიური გამოვლენა, როცა დედაჩემმა შაქრის ნატეხის მოცემამზე უარი მითხრა, თაბროდან ლამაზა გადავოვადე და დავამტერიე.

რა თქმა უნდა, არსებითად აქ დიდი არაფერია. დღევანდელი „კომუნისტები“ ხალხით საესე მატარებელს ამხვერევენ, მაგრამ სახეში უნდა მიიღოთ ის გარემოება, რომ მე მაშინ ორი თუ სამი წლისა ვიყავი და ესენი კი უკვე დიდრონები, ნასწავლი და მომზადებული ხალხნი არიან.

იმ შორეულ დროდან მოწყებულნი, რაც ხანი მოდიოდა, მე ჩემს თავს აშკარად ვატყობდი სამხედრო ნიჭის ზრდა-განვითარებას და როცა ჩვენს მოსამსახურე ბიჭს, ჩვენს ოჯახში მოსვლის პირველ დღესაც, შუბლში ქვა გავარტყი და გავუხეთქე, ყველა შინაურებს ჩემდამი შურის გრძნობა

აღუძარი და უფროსი ძმა იმდენათ შეიპყრო ამ გრძნობამ, რომ გასალახავათაც დამედგენა.

დღევანდელის მასშტაბით რომ შეხედლო ჩემი მოქმედების მიზანშეწონილობას, თითქო ესეც უბრალო რამეაო, მაგრამ ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ქვა კარგა შორე მანძილიდან ვესროლე.

ამ შორე წასრულში ექსკურსიით და ჩემი სამხედრო ნიჭის აღნიშვნით მე სრულიადც განზრახვა არა მქონია თავის ქებისა, ვინაიდან კარგათ ვიცი „თავის ქება კიტრათ ღირს და კატრი კი ცხრა თუმნათ“. ამ პატარა ექსკურსიით მე მსურდა შეჩვენებია თქვენთვის, თუ რამდენათ შორს მქვერტულია ჩვენი გვარდის ბელადი, ვალიკო ჯუღელი, რომელმაც ერთის შეხედვით შემატყო რაც შეილი ვიყავი და გვარდიაში ჩამრიცხა.

მივიღე თოფი და ტყეები.

— ჯერ ხანად, ჩემო ეშმაკო, აი აქ, ქალაქის მახლობლად ივარჯიშე სადმე და შემდეგ ბრძოლაში წაგიყვანო, მითხრა ვალიკომ და ჩემი გული სიამოვნებით აივისო.

სახლში დაბრუნებისთანავე შევეუდექ ჩემი თოფის აწერას და თუ ვისმე აინტერესებს ეს მშვენიერი მოთხრობა გადასინჯოს „ეშმაკის მათრახის“ ნომრები 1917 წლისა. იქ იპოვის.

მთელი ღამე არ მიძინია და ამისთვის დილით აღრე გამეღვიძა. ჯერ პირიც არ დამებანა, რომ თოფი გავსწმინდე და ზეთი წაეუსვი. ჩემზე უბედნიერესი შეიძლება მართო გერასიმე იყო, რომელსაც ერთის მაგივრათ შეიღი სხვა და სხვა სისტემის თოფი ჰქონდა და იმათ წმენდაში ატარებდა დროს.

პირველი დღე მშვენიერი დღე გამოთენდა... მზე თითქმის საშვადღეოზე იყო ასული, როცა ვაკე გავათავე და წყნეთის გზიდან მთაში ავუხვიე. ირგვლივ ტრიალი ფერდობი მწვანე ჯეჯილით შემოხილი. სრული სიჩუმე და თავისუფლება. ნიაიცი თითქო მომკვდარიყო, ოდნავ არ ირხეოდა მწვანე და ნორჩი ჯეჯილის ფოთლები. აქ რა თქმა უნდა კაცი გულდასმით და ბეჯითად იმეცადინებ.

კარგა ხანს ესტკებოდი ამ მომხიბლავი მშვენიერებით და თან გამოკდილი მეომრის თვალით ვეძებდი რაიმე მოხერხებულს სამიზნო საგანს. ჩემი ყურადღება მიიპყრო შორს, ხევის პირად ამწვანეულმა სამად-სამმა ბუჩქმა. მთელს იმ ფერდობზე მხოლოდ ჯეჯილის ხავერდი იყო გადაფენილი და ეს სამი ბუჩქი ისე ობლად და საწყლად მომეჩვენა, რომ კინაღამ ავტირდი. ბუჩქის ახლო კარგა მოზდილი თეთრი ქვა ეგდო დააი ერთად ერთ სამიზნო საგნათ სწორედ ეს ქვა მივიჩინე.

ქვა ბუჩქებიდან მარცხნივ ხუთიოდ საყენის მანძილზე იდვა და ისე მკაფიოდ მოსჩანდა მწვანე ჯეჯილას საფარზე, როგორც მზე ცის ლაყვარდში. დაკვირვებულის თვალით შევზომე მანძილი ჩემსა

და თეთრი ქვის შორის და თოფის სანიშნო დაახლოვებით ათას ნაბიჯზე დაეყენე. წამოვწექ მოლზე, გავიწვინე თოფი და მრისხანე გრიალმა მძლავრათ შეარყია მყუდრო ჰაერი.

თეთრი ქვის მარცხნივ, სულ ახლოს, დაახლოვებით შვიდ-რვა საუკუნეზე, მტვერის კორიანტელი ავარდა, რამაც მანიშნა ტყვის მოხვედრების ადგილი.

როცა მეორედ სროლას გავეშალდე: ჩემი ყურადღება მიიპყრო ბუჩქების არა ჩვეულებრივმა ქანობამ.

— ნუ თუ ასე შორე მანძილზე ტყვის ქარმა ბუჩქები ამზომ მძლავრათ შეარხია? ფიქრობდი მე და მეორე სროლისათვის ვემზადებოდი, კვლავ გაისმა გრიალი და მტვერი ქვისა და ბუჩქების შუა ავარდა. ცხადია ახლა მარჯვნივ მეტი ავიდე ვიდრე საჭირო იყო. მეორეს მესამე მივაცოლე, მესამეს მეოთხე და თეთრი ქვის ირგვლივ მტვერის კორიანტელი ავაყენე. ბუჩქი პირდაპირ ქანობდა ტყვიის ქარისაგან, როგორც ნორჩი ლერწამი ქარიშხლის დროს.

უცებ მწვანე ფოთლებზე თეთრი ბაირალი გამოჩნდა და რალაცამ თითქო თავიც გამოჰყო. შემართული ჩახმახი დაეფუშვი და გაშტერებით დავაცქერდი საიდუმლო ბუჩქებს. თეთრი ნაქერი კვლავ მკაფიოთ მოსჩანდა, ხოლო ბუჩქი კრთოდა, როგორც შვლას ნუკრი. მე ბორცვს ამოვუწექი და ცქერათ გადავიქეცი.

— ნეტავ რა უნდა იყოს იმ ბუჩქებში ვფიქრობდი მე და გონს ვერ მოვსულიყავ, როცა მწვანე ფოთლებიდან სიფრთხილით და შიშით გამოძვრა მაღალ-მაღალი ახალგაზრდა უცხოელი ოფიცერი და მცირე ხნის შემდეგ მას მოჰყვა ახალგაზრდა, მშვენიერი ასული. ისინი უხმოდ დაეშვენ დაბლა, პატარა ბილიკით და ქალაქისკენ გამოეშურენ.

მე კარგა ხანს გონს ვერ მოვედი. თოფი ხელში შემაცივდა. ვფიქრობდი და ვერ წარმომედგინა თუ რა უნდოდა ამ ხალხს იმ ბუჩქებში: ალბათ, წიგნს რასმე კითხულობდნ. ცხადია.

როდესაც ეს სასწაული ვალიკოს ვუპაპე, მან მამაშვილური დარაგების კილოთი მითხრა:

— კიდევ კარგი, ჩემო ძმაო, რომ არ შემოგაკვდა ის ოხერი, თორემ ვინ იცის რას გამოიწვევდა ეს ამბავიო.

ამის შემდეგ მე წყნეთის მხარეს თავი დავანებე და სავარჯიშოთ მთაწმინდისაკენ ვიწყე სიარული.

ეჭმეაქი.

შექანჯალებულის ლექსები.

ვერი ბიჭო, ვერი და ვერი.
წინ მიდვას ღვინით გავსილი ქვევრი..

თუნვით გადავკარ და დავთვევრი,
ებლა მსურს ყველას ვადინო მტვერი,

I

აბა, ვერი და... ვერი და ვერი!!..
დამფუძნებელი კრებისა წვერი
მინდა რომ ვიყო... ან და კონსული
უცხო ქვეყნიდან აქ ჩამოსული,
ან სენატორი, ან და მისა,
სახლებს რომ ვუყო რეკვიზიცია
თორემ ქუჩაში ვრჩები ბიძა..
ერთი ოთახი—მივ ერთად ათი:
თებრო, ივანე... კესო... ალათი...
ორი პერრონა—ათი ოთახი...
თფუი! დაიქცეს თქვენი ოჯახი!
საით წავიდე, თავს რა ქვას ვახლი,
რა ვქნა, რომ ვერსად ვიშოვნე სახლი.
ესროლე ბაღე! ჰე, მირბის ძაღლი..
მაშ, დაედევნე, სდიე და დაღლი..
ტფილისს დაღუპავს ძაღლევი ბევრი.
ვერი ბიჭო და... ვერი და ვერი!!..

II

ირიის ეინევემ! სპიჩქიი პაპიროლოს!
ოპ, გამარჯობა შენი მარტიროს!
სოქვი, ბედმა სანამ უნდა გვატიროს,
იმ სახლებში ვინ დაიკვარტიროს,
დღეს რომ მთავრობა დაცლას უპირობს?

III

„ინდოეთი ხეზე უნდა გავიდეს,“
ტფილისიდან ლიშნი ხალხი გავიდეს?!
ათ ოთახში მაშინ უნდა შავიდე!
დღეს მე პირში ერთი ლუკმა ჩავიდე,
ლხინი მიყვარს, ამას შენც კი მიხვდები...
ფეხსაცმლიდან გამომექცა თითები...
არც შეშა მაქვს, არც ნახშირი, არც ფიჩხი
პაპიროლოს, სპიჩქი,!. პაპიროს სფიჩქიი!!!

IV.

ღრანანანინა, ნინა და ნანა!!!
მოდ, მიყურეთ, ესთქვა გამოცანა:
ქათამი გვაძღვეს, მოთეთრო არის,
აღდგომას წითლად გვაქვს შეღებილი,
თუ გსურს გასინჯო მიარტიყ კბილი,
ერბოში —ერბო-კვერცხია ტუბილი.
ვინც ახსნით გიძღვნით ჩოხას, ქალს —კაბას,
სთქვით, ვის უშვენიებს დღეს იგი ტაფას...
მე კი ყოველ დღე, ძმაო, ვმარხულობ,
ყველასგან მუდამ ფულეებს ვსესხულობ,
იქნება კიდევ გექნეს-ლობიო,
მასესხე ცოტა, ჩემო სოფიო,
დღეს სტუმრები მყავს, უნდა მოვხარშო...
ერთხელ, საღლაცა კი ვუპაე ხარჩო...
მასსოვს, კინაღამ უცხად დამხარჩო!
რამდენს უმატებ ფასს დღეს პურს დარჩო...

შენია, შენი, ქვეყანა, ჩარჩო!
ჩემს ფანჯრებს არც ერთს არა აქვს ჩარჩო...
თავი მაქვს დიდი, შიგ გორავს ტვინი,
რა ცუდი არის კვლის ლიტინი..
უნდა ესტიროდე, მე კი ვიცინი...

V

ქალო, ჩემ სიტყვის სულ ნუ ხარანტი*
მოდი, გავყიდოთ ის ბრილიანტი,
ხომ ხედავ, არ ვარ სპეკულიანტი,
და არც მიჭირავს მე „ორიანტი“,
რომ სიღარიბეს გამოვდო კვანტი,
არ გინდა გულზე წითელი ზანტი?!?
ლოყებზე ჰუდრი თხლად შენაფანტი?..
საპონი მომცა ცხვირს დავიბადნი,
და სავარცხელით თმებს მოვიფხანდი,
ვატყობ, ქუთაზე სულმოთლად შევქანდი,
ამ ტფილისში რომ ამოვქაქანდი..

VI

ჯუ! ჯუ!..! ჯუ! ჯუ!.. ჯუ!!!
ჭი!!! ჭი!!! ჭი!!! ჭიჭი!!!
კაცი ხართ, ქალი, გოგო, თუ ბიჭი!!
ნასწავლ-უსწავლი, კვიან-რეგვენი
ნიკო, ერპილე, შაქრო, ვეგენი,
ყველამ ტფილისში! ტფილისში ყველამ,
ნატომ, ჯაჯიკამ და ფეფიკელამ!!
არავინ დარჩეთ პროვინციაში,
ტფილისში მყავხართ ყველა სიაში..
სოფლებში არვინ არ ჩაპკლათ ნიჭი!!
ჯუ!.. ჯუ!.. ჯუ!.. ჯუ!! ჯუ!..!
ჭი!.. ჭი!.. ჭი!.. ჭი!.. ჭი!..!

შექანჯალღებული

„ეველას ტალანტთა ქალაქი.“

წინათ ჩვენს სატახტო ქალაქისთვის ამბობდნ:

- ქალაქიო.
- ესლა მას უნდა დაერქვას:
- ყველა ტალანტთა ქალაქი.
- გამოიჩინეს თუ არა პროვინციაში ცოტა ნიქს, ანუ ლათინურად რომ ესთქათ-ტალანტს, რომელიმე კომისარი, მას მაშინვე თბილისი გამოუწევს ხელს და მშვიდობით!..
- საკმარისია ცოტა ფხა გამოიჩინოს თვითმართველობის საქმეებში და მაშინვე—
- ტბილისის დურგლებს ახალი სავარძლის კეთება სჭირდებათ.

ესთქათ, პროვინციაში ვინმე კარგი მასწავლებელია, აღმინისტრატორიც ვარგა, მოძრაობს, ცოცხალ არსებას გავს... უნდა იცოდეთ, რომ სულ ცოტა ხანში ამ გვამსაც თბილისი ჩიკრავს წიაღში.

ერთის სიტყვით, ჩვენი თბილისი რაღაც ზღაპრულ ქალაქად გადაიქცა; ის ნთქავს სანთაგეს: ვერ ვაძღვებთ, ჰურით, სიმინდით, ლობიოთი, ხორციით. სულიერი, უსულო, ოთხფეხი, ორფეხი—ყველფერი მის მის მუცელში ჩადის და მაინც არაფერი ეშველა, გაუმაძღარის სტომაქისაა, ყველაფერს ნთქავს, ყველაფერს ყლაპავს.

მთელი თბილისი მარტო ქამაზე ფიქრობს, ამის მეტი არაფერი ახსოვს. ამას ყვირიან ქუჩებში, ამას გაჰკვივიან გაზეთებში.

მაგრამ ჯანდაბას, ამ ამხრივ ეგება გაგვეძლო რამენაირად ამ ქალაქისთვის, მაგრამ ახლა რომ აღამიანების ყლაპვასაც მიყო ხელი, რაღა უნდა ვქნათ!

თქვენი მტერია ჩვენს სოფელს დღე დაადგეს თუ ასე გაგრძელდა „ტალანტების“ ყლაპვა: მოკითხვის წერილის წამკითხავი კაციც არ გვეყოლება სოფლად.

რომელია ისეთი მოღვაწე დღეს საქართველოს სოფლებში და დაბა-ქალაქებში, რომ თბილისისკენ არ მიიწვედეს.

ეს კიდევ არაფერი! თუ იგი ღირსია, რომ თავისი „ტალანტის“ მუქები ცენტრიდან მომწინოს სამშობლოს, მაშინ რა გაეწყობა,—ია და ვარდი მის გზასა და სავალს, მაგრამ ხშირად ბუტაფორიულ მოვლენებთან გვაქვს საქმე!

იბნევი კაცი და ვერ გავიგია თუ ვინ ან რომელი მოღვაწე რა მიზნით მუშაობს პროვინციაში:

— მართლა გულ წრფელად ემსახურება ხალხს, თუ თბილისის გასაგონათ ფართი-ფურთოებს.

თქვენი არ ვიცი და მე კი ძალიან დაქვეებული ვარ!

როცა გულმოდგინეთ მომუშავე მსწავლელებელს ვხედავ, ქედს ვიხრი მის წინაშე და მზადა ვარ ცამდის ავიყვანო, მაგრამ უეცრივ გამიილეებს წყული ეჭვი:

— ვინ იცის, ვგების თბილისში უნდა გადასვლა და იმიტომ იღვამს წელზე ფეხს თქო.

როცა ხმა მალლა მაყვირალ კომისარს ვხედავ ეჭვი ჩამწურჩულვებს:

— რათ ყვირის ეს კაცი, ხომ იმას არ ცდილობს, რომ თბილისის გააგონოს თქო.

რომ იცოდეთ რა ყურმავილია თბილისი!

როცა რომელიმე მოღვაწე ხშირად დადის თბილისში „საზოგადო საქმეებზე“ მე ასე ფიქრობ:


— ვაი თუ ესეც სასახლის კიბეებს ცვეთს არბენ-ჩამორბენითთქო.

ღიახ, სასახლის კიბეები!

ჩვენს კურთხეულ ქუთაისში პირდაპირ ასე ამბობენ:

— ეს და ეს პირი თბილისში სასახლის კიბეების საცვეთად დადისო.

მ ა რ ტ ი ტ უ რ ა შ ი .



ზაქარია ფალიაშვილი. მშენიერად მოვეწყე ამ ჩემი ოპერის პარტიტურაში. მხოლოდ ეს ანგარიშები!..

ერთის სიტყვით პატროსანი შრომა და მისი წარმომადგენელი მთელ საქართველოში დღეს საეჭვო პირად არის მიჩნეული: არ იცი რა ამოძრავებს მას, — მართლა ხალხის საკეთილდღეოდ იღვწის, თუ თბილისი აქვს მიზანში ამოღებული.

მერე თქვენა გგონიათ, რომ ასეთი რამე სათაკილოდ არის მიჩნეული? თქვენც არ მომიცვლეთ! თბილისისკენ მისწრაფება სათაყვანოდ ითვლება, ყველასაგან მოწონებულია ისე, როგორც სპეკულიაცია.

ვინც თბილისში არ მსახურობს და გადასვლას მაინც არ ფიქრობს, ის გამოუღებარი ვინმეა, დაბრაკულია, ჩათლახი დემოკრატია, უფოლადოა.

ასეთი აზრის არის თითონ თბილისი და ასე მსჯელობს პროვინციაც. თბილისს მხოლოდ ის მიაჩნია კაცად და ტალანტად, ვინც უკანა ფეხებზე უდგას ფინიასავით და ძვალში უფარდება.

— თბილისისკენ მისწრაფება და „კარგი ტონი“ დღევანდელ საქართველოში სინონიმებად არის მონათლული.

ტალანტის დასასაბუთებლად ვგ უტყუარი მოწმობაა. თუ თბილისისკენ იხედები, ვგ იმას

ნიშნავს, რომ ქვეყნისთვის გამოსადეგარი ხარ, ნიქს წარმომადგენ, ტალანტი ხარ.

თუ არა და... „ბრაკ“.

თბილისი მთელ საქართველოს ლორწეტი გადმოყურებს და თავისი თავის მეტი არაფერი აინტერესებს.

პური გაქვს? მას უნდა მისცე.

მჭადი? ისიც მას უნდა.

ლობიო? ისიც.

ტალანტი? ისიც.

ერთის სიტყვით არაფერზე უფარს არ ამბობენ, ყველაფერს ნთქავს ვეშაპივით.

მოდით და ამის შემდეგ ნუ გამოუცვლით თბილისს სახელს!

არა, ბატონებო! დღეიდან თბილისის სახელი:

— ყველა ტალანტთა ქალაქი!

იჩქარეთ იქითკენ, იჩქარეთ! ამოეწერეთ დაბრაკულთა სიდიდან!

თბილისი სტუმართ-მოყვარეა!

3. მალაქიაშვილი.

წერილი ბათუმიდან.

ბათუმი. კვირას, ნოემბრის 30, „ეშმაკის მათრახის“ გამოსვლის დღეს, გაიხსნა ბათუმში არაჩვეულებრივი კონფერენცია რედაქციის ყოფილი, ეხლანდელი და მომავალი თანაშრომლებისა. კონფერენციას დაესწრო: ბლიკვაძე, ჩიბუხი, ჩიბუხის მდივანი, აქარელი და ორბელიანი. დიპლომატიურ წარმომადგენელთა სავარძელში იჯდა ბ-ნი ისკანდერი. კონფერენციის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქნა ბ-ნი ბლიკვაძე, რომელმაც კრებას გააცნო იმ ნოტის შინაარსი, რომელიც მან მიიღო „ეშმაკის რედაქციისაგან“. კონფერენცია ფეხზე ადგომით ისმენს ნოტას და ფეხგადგომითვე ერთხმად სწყვეტს: გამოცხადდეს ქ: ბათუმი ეშმაკის პროტექტორატს ქვეშ. აირჩეს დელეგაცია ბლიკვაძის თავმჯდომარეობით, რომელიც დაუყენებლივ გაემგზავრება „სატახტო ქალაქში—თბილისში და მოახსენებს ამის შესახებ ეშმაკს.

მთელი დღის განმავლობაში ქალაქი გაჩირადლებულია. მცხოვრებლები მოუთმენლად ელიან ამ ისტორიული აქტის იურიდიულ ფორმაში ჩამოსხმას.

ამ დღეებში ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭოში მასთან არსებული ქალთა წრის გამგეობის მიერ შეტანილი იქნა შემდეგი შინაარსის შეკითხვა: იცის თუ არა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმმა, რომ ბათუმში არსებობს ქალთა წრის გამგეობა შვიდი წევრისგან შემდგარი, არჩეულ შვიდი ქალისგან და თუ იცის, რა ზომებია მიღებული, რათა აღიზავოს დაუყონებლივ არსებობა იმ ჟურნალისა, რომელსაც სახელად უწოდეს „შვიდი მნათობი“. ეროვნული საბჭო ამ ქვად დიდ მზალეზშია, რათა დაუყონებლივ იქნეს შეკრებილი ამის შესახებ ყოველი უტყუარი ცნობები. შემკვითხველების საპასუხით ეროვნულ საბჭოს აქვს სახეში გამოუშვავს გიორგი მაღალაოვი.

X.

ახალი სტილი.

აფსუს, როგორ აირია ქვეყნიერება, როგორ აჯაფსანდალივით აითქვლიფა ყველაფერი!..
ვა, ვა, ვა!... ვისაც რა უნდა იმასა შერება, ვისაც რომელი ღმერთი უნდა იმასა ლოკულობს, ვისაც ვინ მოსწონს იმასა ჰპროშტავს, ყველა თავის თავს პრავიტელსტვით აცხადებს, ყველა თავის ფულსა სჭრის!...
ერთი სიტყვით, სად იწყება ეს დომხალი და სად თავდება კაცმა არ იცის!. ყველა, ყველა, კაცო, მაგრამ ეს კალენდარი რაღა ჯანაბათ შეცვალეს!

ამან ხომ პრამათ დავთარი დამიბნია რაღა! ქრისტი-შობისთვეა, იანვარია, შობაა, ახალწელიწადია, აღდგომაა, ბზობაა, ნათლილება, მარხვაა, ხსნილია, რომ არ გამეგება!.. როდის გაფენდება: სურფსარქისობა, შეანაბლობა, ხოჯივანქობა, თელეთობა, საესემ ნი პანიმიჟი! გინდ დამახრჩეთ, არ ვიცი რაღა!

„ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც შიგა ჰკრესო“. სწორეთ ეგრეა რაღა ჩვენი საქმე! თავთა აწეწილ დაწეწილი იყო ჩვენი საქმე და ამ კალანდრის არევამ ხომ სულ დააბნია დავთარი!. ეს ვექსილების სროკებია, ეს პანკებია, ეს სუდის ზასდანიებია!... ერთი სიტყვით, სულ ყირა-მაღა გადატრიალდა ყველაფერი!

ვა, ხუმრობა ხომ არ არის ცამეტი დღით სრაზუმ წინ გადასკუპება! იცი რა რაზნიცას აკეთებს ეს ცამეტი დღე?!

ეხლა რომ აღარ ვიცი რანაირი პროვერკა გაუკეთო ჩემ კეკელას! სულ დაბნეული ვარ რაღა, კაცი!

დედაკაცი ფეხმძიმეთა მყანდა, კაცს დაანგარიშებული მქონდა ტოქი-ტოქი, ნიშუტობით, თუ ცხრა თვეს იქით ნასლენიცი მეყოლება მეთქი, მაგრამ სულ ამირიეს ანგარიში, ისე არიეს ეს კალენდარი! ჩემი კეკელა აგერ სამი დღეა რაც დაწვა და მშვენიერი ვაჟიც მაიგო, მაგრამ რომ არ ვიცი: ჩემია, სხვისია, პრეფდევრემენია, დაგვიანებულია, თუ ნედანოსია!.. ან და რას გავიგებ, აღამიანო! თვეები შაიცვალა, ჩისლო შაიცვალა, ქრისტიშობისთვეა, იანვარია, თებერვალია, ქრისტე ღმერთმა არ იცის და მე რას გავიგებ, თავი კომბოსტოს მიმიგავს!

ვაი ჩემი ცოდო ედოს იმას, ვინც მე ჩემი კეკელას ორსულობის ანგარიში დამიკარგა და ჩესლო მესეცის კალანდარი აურია!

გოგია.

ქ. ქიათურა.
1918 წ. 9 მაისი.

წერილი ბათუმიდან.

ვინაიდან ბაგრატოვებს ქობაში ჰქონდათ კრება, ვიმედოვნებ, მათი ზრ. ხვის გენებება თქვენ გაგება. წინეთ, როცა ამ ჩვენ ქალაქს განაგებდა საბჭო ძველი, ვინ შავების ბატონობას ჩაუყარა საძირკველი; როს მასლოვი ფრთებზა შლიდა მშა-ბრქების საბატონოთ, და დენიკინს მოუხმობდა ამ ქალაქის საპატრონოთ;

და როს ფარფაშს შავებისას
 აღარ უნდა დასასრული,
 ბაგრატივი კავშირს ფლობდა,
 პრეიერი იყო სრული.
 და მას შემდეგ დაეჩვია
 საქმეებში ხელის ფათურს,
 წყევლა-კრულვას უგზავნიდა,
 აძაგებდა ყოველს ქართულს.
 წევრთა თვალის ასახვევით
 გრძელ „რეჩებში“ თხზავდა ქორებს,
 ხმა ისეთი ნაზი ჰქონდა
 ვით ინგლისის მოზლიდ ჯორებს.
 და მადასა განუსაზღვრელს
 პატივსცემდა თვისას მარად,
 მით საქმენიც მოაგვარა
 შავრაზმელთა გასახარად:
 გაჭიკვა და მითქმა-მოთქმა...
 თვითნებობა იყო სრული,
 და და ამ გვარათ მუშათ კავშირს
 დაუყრნა აღსასრული.
 ამბობენ რომ შავ რაზმელთა
 გაზეთისთვის მუშათ შტატებს
 აგროვებდა და დღესაც კი
 ამ საქმისთვის დაფარფატებს.
 ერთ დღეს ამ გმირს მუშათ კრებამ
 უგალოა სულთათანა,
 ზემო თქმული ყმაწვილები
 პორტფელითურთ მიაბრძანა.
 ნათელ გახდა საქმე მათი,
 პოლიტიკა ქვემძრომელი,
 და კრებაზე გამოირკვა
 ახალი, თუ ცოდვა ძველი.
 და ამჟამად ისევ ისე
 არ იზლიან თურმე თვისას,
 „პროტოკოლზე“ ხელ-საწერად
 პატივობენ ამ ჩვენ ღიზს.
 ქაობაში შეთხზეს თურმე
 ის ქალაქი საპროტესტო,
 გამგეობას ჩვენ ვფლობდითო
 დასცალეთო ნაშე მესტო“.
 და ამ გვარად ცოდვილ ვაჟებს
 სიხარულით უძგერთ გული,
 მწუხარებათ შეეცვლებათ
 ნაადრევი სიხარული.

ხდაბაურელი.

ბუტუნას რადიო.

ფ.ო.თ.ი.

ნავ-თსადგურის მუშების კავშირის გამგეობამ
 მუშათა სკოლა გახსნა, სადაც მუშა მოწაფეთა უმ-
 რავლესობამ დაამთავრა კიდევ სკოლაში სიარული.

ამავე კავშირის საბჭომ ნაციონალზაცია გაატარა
 ცხოვრებაში და „სავალდებულო“ ენის უტოლი-
 ნარე სეკრეტარი დლოიძე დითხოვა. მოსალოდ-
 ნელია კიდევ ორი სამი პირის დათხოვა რომ
 „სახელმწიფო ენა“ არ შეფერხდეს.

ამავე მუშებში ჩვენი გაზეთის ტირაჟი უკვე
 ცხრაზე (9) ავიდა მიუხედავთ იმისა, რომ არტელში
 რალაც რვაასი (800) მუშა მუშაობს და თვიური
 გაზეთის ფასი ზოთლ ღვინის ფასსაც უდრის.
 ქალაქის სამკითხველოში სიცივისაგან, გამგე ქალს
 გარდა, ნნ ქურქოსანი მკითხველი გაიყინა.

ადგილობრივ ესერების კომიტეტი უარს აც-
 ხადებს მანწკავას და კეკელიძის („გემარის“
 გმირების) ორგანიზაციის წევრობაზე. მიზეზად
 ფოთიდან მათ გასვლას ასახელებენ: რაკი ფოთიდან
 გავიდა, ორგანიზაციიდანაც გასულად ითვლებოა.

წარწერანი


ადვილად შესაძლებელია, რომ რესპუბლიკის
 ზოგიერთი მოქალაქენი ერთგარ შეჯიბრებას აწარ-
 მოებენ და სურთ განამტკიცონ რეკორდი უმსგავ-
 სო და გაუგებარ წარწერათა, თორემ სხვით არა-
 ფრით აიხსნება ზოგიერთ მათთაგანის სიმეხინჯე.

ვერ წარმომიდგენია, მაგალითათ, თუ რაზღენი
 ცეკვის სწავლის მოწაფე ეყოლება იმ სულდგმულს,
 რომელიც ლაკონიურად აცხადებს წარწერით
 თავის ბინაზე „ტანცის უჩიტელი“ (ნიკოლოზის
 ქუჩის ბოლო). აგრეთვე ბევრი მუშტარი არ ეყო-
 ლება პლენანოვის პროსპექტზე, სამხედრო სასწავ-
 ლებლის პირდაპირ, მოთავსებულ სამკურნალოს,
 რომლის წინაც შემდეგი შინაარსის წარწერაა გა-
 მოქიპული: **კერიძო სამკურნალო სამუდამო საწო-
 ლებით**. „მუშაკის მატრახი“ ეკითხება თავის
 საყვარელ მკითხველებს: რომელი იქნება მათ შო-
 რის ისეთი გამბედავი, რომ ზემოხსენებულ საავად-
 ყოფოში შევიდეს განსაკურნავად. წინასწარვე დარ-
 წმუნებული ვართ, რომ იშვიათად მოიძებნება
 მოქალაქე, რომელიც „სამუდამო“ საწოლს ეძებდეს.

„საკბილო“ სამკურნალო... ეს სამკურნალო
 მოთავსებულია პლენანოვის პროსპექტზე, კრილო-
 ვის ქუჩის კუთხეში. გამოურკვეველია თუ ვისთვის
 უფრო საკბილოა იგი, მკურნალთათვის, თუ გან-
 კურნის მსურველისათვის. ამის გამოურკვევას თვით
 კბილ-მტკივანა მოქალაქეთ ვანდობთ, რომელნიც
 იმედია თვის აზრს გაგვიზიარებენ.

ზემოხსენებულ სამკურნალოს ქვეშ მოთავსე-
 ბულ ხილის დუქანს შემდეგი წარწერა უმწვენებს
 კარებს: „პერსიული მალზიანა“. დარწმუნებული
 ვართ, რომ „პერსიული“ გვარი უნდა იყოს დუქნის
 პატრონისა და მიტომ ბევრს აღარას ვილაპარაკებთ.

თევზაობა შავ ზღვაზე



დიდი გენერალი. ეს რა პატარა თევზი ამომყვა..
 პატარა ტარელი. ერთი ამის დამიხედეთ! ამოთრევა მიჭირს, იმოღენა.

ხოლო არ შეგვიძლიან მაინც ჩვენი სიამოვნება არ გამოვსთქვათ, რადგან გვარი ძალიან მოგვწონს... ნამეტანი მუსიკალურია!...

„ტივოლი ტიატრი“... ასეთი წარწერაა პლეხანოვის პროსპექტის ბოლოში, ყოფილი გორგიჯანოვის რესტორანის შენობაზედ. ვისაც სურვილი აქვს, თვისი თვალით ნახოს შემოხსენებული წარწერა, ვურჩევ შორიდან წაიკითხოს და არ გაბედოს „ტიატრ“-ში შესვლა!... ამბობენ, რომ ვინც იქ შევა მარტო მას კი არ დასტოვებს, რაც ჯიბეში აქვს, არამედ თვით ჯიბეებსაც მიაყოლებს... შარვალსურთუქიანად...

გვგული.

შარადა.

მუხამ მომთხოვა*) შარადა, მოკლე და მწყობრი ხმანი. რა არის იგი არსება? ადგილი უყვარს კლდიანი!..

*) მოთხოვნილებაც არის და მოთხოვნილებაც. ქუთათურმა პედაგოგებმაც თავისებური მოთხოვნილება წამოაყენეს. თუ მაწანწარელის მუხას ეს ლექსი შარადა ეგონა, უმჯობესი იქნებოდა მისი მოთხოვნილება დაუქმპაყოფილებელი დერჩენილიყო. დაე გაფიცულიყო, რედ.

მ უ ქ ა რ ა .



ამერიკელი. ჩვენ მივლივართ!
სხვები. ჩვენც მივლივართ!..

უყვარს მას თავისუფლება,
 ვით მოძღვარს ქადა რძიანი...
 თუმც იმას არ ჰყავს ბატონი
 არც თავათ არის უმიანი,
 უხვი ბუნების წყალობით
 სცხოვრობს თვით თავაზიანი!
 კაცი კი მისი მტერია
 მან კაცს არ მისცის ზიანი.
 იარაღი კი ზედა აქვს
 ულესია და ფხიანი!
 ბუნებას უბოძებია
 არ არის ხარისხიანი!
 თუ მებრძოლს დასძლევს არც მოპკლავს,

არც არის ლალატიანი!..
 ვინც ამ შარდას ამისხნის
 იგი იქნება ჰკვიანი!
 ახსნა შემდეგ.

ა. მაწანწრელი.

ბ ა ნ კ ე ტ ი .

ვერაინ იტყვის, რომ საქართველოში ბანკეტი იშვიათი მოვლენა იყოს. არ მეგულება მეზაერი, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის რკინის გზით აველლოს, ან ჩაველოს, რომ მისთვის ჩვენ ბანკეტი არ გაგვეპართოს.

მაგრამ მე არასოდეს არ მახსოვს ბანკეტი ჩემ პატივსაცემლად გამართული. ეს არა თუ იშვიათი, პირდაპირ პირველი შემთხვევაა. ამ პირველ ბედნიერ შემთხვევას ადგილი ჰქონდა სახალხო გვარდიის არტილერიის საკრებულოში გვარდიის ორი წლის დღესასწაულის რამოდენიმე დღით წინ.

საზოგადოთ ჩვეულებათ მაქვს ბანკეტებსა და კარგ სადილებზე პრანქვა-პატიყი არ დავიწყო და ჩემი თანხმობით გადახედნიერო მასპინძლები. ეს საჭიროა ყველამ იცოდეს.

გვარდიის არტილერისტთა მიერ ჩემ პატივსაცემლად გამართული ბანკეტი ერთობ მხიარული და სასიამოვნო გამოდგა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და არ შემოძლია მოკლეთ არ აგიწეროთ ეს მშვენიერი საღამო. თვით ამ საღამოზე განაცხადა ჩვენმა ძვირფასმა თამადამ, სოსო გედევანიშვილმა, რომ ეშმაქს აქ ლაპარაკი არ შეუძლია, მაგრამ იმედია ის წერის დროს თავისას არ დააკლებსო. სრული ჭეშმარიტებაა. არ ვიცი რა მიზეზია, მაგრამ ლაპარაკის დროს მუდამ მავიწყდება, რომ კარგი სიტყვისათვის თან და თან აღვლევა, სიტყვის შუაგულში პირდაპირ გადარევა და დასასრულ დამშვიდება საჭირო. რამდენჯერ არ ვცადე კარგი სიტყვის წარმოთქმა და არ იქნა ვერ ავლელი. გვარდიელებზედაც ვილაპარაკე, ჯარისკაცზედაც, ჩვენს მთავრობაზედაც, სოლიდარობაზედაც, ნოე ჟორდანიასზედაც, წარმოდგინეთ თვით პროლეტარიატზედაც, მაგრამ აღვლევა ვერა შემთხვევაში ვერ მოვახერხე და გადავწყვიტე სრულიად დავანებო საჯარო ლაპარაკს თავი.

მაშ ვერა. ჩემ პატივსაცემლად გამართულმა ბანკეტმა თამადათ ერთხმად აირჩია სოსო გედევანიშვილი. ომში ხშირად გამოიძლია ჩვენი საყვარელი გენერალი, მაგრამ თუ თამადაბაშიაც ასეთი იყო, ეს კი აღარ შეგონა.

პირველი სიტყვა მან ჩვენი ძვირფასი არტილერიის სადღეგრძელოდ წარმოსთქვა. მან შეადარა შარშანდელი გვარდიის არტილერია აწინდელს და განაცხადა, რომ მათ შორის მხოლოდ სახელწოდებაა სავსე, თორემ შარშანდელი ჩვენი გვარდიის არტილერია აწინდელის კარიკატურათ შეიძლება ჩაითვალოსო. ორატორმა აგრეთვე აღნიშნა უდიდესი სარგებლობა არტილერიისა საზოგადოთ. მე რასაკვირველია დიდ არტილერისტათ არასოდეს არ მოჰქონდა თავი, მაგრამ ზოგიერთი რამ ამ სარგებლობისა მეც ვამეგება და თუ მაშინ არ ვთქვი ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ლაპარაკის დროს აღვლევა ვას ვერ მოვახერხებდი. მართლაც როგორ გინდა აღვლდე ისეთ მშვენიერ ქვიფის დროს და ასეთ ჩვეულებრივ ლაპარაკში. მე მაგალითად ვიცი რომ არტილერია სასარგებლოა აგრეთვე იმიტომ, რომ თავი გადანახეთკი ყუმბარა კალმისტარებისა და კარანდაშების ჩასაწყობ ტურკულათაც ვარგა. ამჟამ მიზნისთვის და სხვა რამეებზედაც ვამოსადგია

ყუმბარის ბუდე, რომელიც ზარბაზნის ლულაშივე რჩება ყუმბარის გასროლის შემდეგ. ათასწირ ნივთებს აკეთებენ ამ ნაშთებისაგან და ეს ჩვენს წარმოებას რასაკვირველია ხელს უწყობს. ახლა მოდი და ისე სთქვი ეს უბრალო სარგებლობა არტილერიისა, თითქო დიდი აღმაშფოთებელი რამ შეგმთხვეოდეს. არ შემოძლია და რა გქნა.

შემდეგი სიტყვა თამადამ იმ დემოკრატიის სადღეგრძელოდ წარმოსთქვა, რომელმაც წარმოშვა ჩვენი სახალხო გვარდია. მართლაც უმაღლესობა იქნებოდა აქ ორიოდ სიტყვა მეც არ მეთქვა და ერთი ჰქვა ლენინო არ დამელია, მაგრამ ვინაიდან სიტყვის თქმას ის ოხერი აღვლევა საჭიროა, მე მხოლოდ დამშვიდებით ერთი ჰქვა ლენინის დალევა ვამჯობინე, ჩვენი დემოკრატიის სიმწიფე იმდენათ არა საეჭო და უდავო საქმეა, რომ თამადას თითქმის არავინ არ გამოკამათებია და შეხლა-შემოხლას ადგილი არა ჰქონია.

— მე კვლად ზევით-ზევით მიფერინავ—განაცხადა თამადამ და წარმოსთქვა სადღეგრძელო იმ გელომდგანელოს, რომელიც წარმოშვა ჩვენმა დემოკრატიამ და რომელშიაც გამოხატულია მთელი ვისი სიძლიერე, სიმწიფე და სიღარბისლე—ნოე ჟორდანიას სადღეგრძელო.

ნება მიბოძეთ აქ ერთი პატარა ამბავი მოგახსენათ: ერთი შტატის მღვდელს, თურმე მეორე უშტატო მღვდელი ემტერებოდა, დაათრობდა და შემდეგ გაბრიელ ებისკაპოზთან უჩივლებდა: ლოთია, გადაყენე ადგილიდანო. (წინეთ მღვდლებისთვის ლოთობა დანაშაულათ ითვლებოდა). ერთხელ სწორეთ ასეთ სიმთვრალის დროს მოასწრო მტერმა და უჩივლა. ეფისკაპოზმა მყივე მოაყენინა თავისთან შემხიარულეული მოძღვარი.

— ეს რა დაგმართია, შე ცოდვილო, რომ სულ ლოთობ და ღმერთი აღარ გახსოვსო, მიმართა მღვდელმთავარმა.

— რა გქნა, შენი ჭირიმე, მომადგებიან უზარმაზარი ყანწით და მფიცებენ: ყოვლად სამღვდელი გაბრიელის სადღეგრძელო რომ არ დალიო, გაიგებს და შემოგწყრებაო. რა გქნა, ცოდვილი ვარ, მებათრება თქვენი და უარს ვერ ვეუბნებო.

მე რომ ნოე ჟორდანიას სადღეგრძელოს გავიგონებ, ხელი ინსტიტუტურათ მიიწევს ჰქვისკენ. უნდა გამოგიტყდეთ. რომ ჩემ მოქალაქეობრივ მოვალეობათ მიმანია ნოეს სადღეგრძელო უთუოდ სავსე ჰქვით დავლიო. აღვქსანდრე დგებუაქემ არა თუ სავსე ჰქვა დალია, ისიც კი მოახერხა რომ მისთვის ჯარიმა დაელოფინებინათ.

დამფუძნებელი კრების დღეგრძელობის დროს საზოგადოებას დიდი მღვდლვარება დაეტყო. თამადის საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩვენი სახელოვანი არტილერისტი, მიშა არსენიძე. მე სხვებზე ნაკლებ არ ვაფასებ დამფუძნებელი კრების მნიშვნელობას, მაგრამ აქაც მხოლოდ ლენინის მიღებით გა-

მოგზატე ჩემი მისდამი ღრმა პატივისცემა და ჩემი წვილილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმშენებლობითი საქმეში ამით შევიტანე.

სულ სხვა ტაქტიკას დაადგა ჩვენი სახელოვანი კავალერისტი მუხრან ოდიშელი. მან ვრცლათ მოიყვანა ფსალმუნდიან აკაკი წერეთლის სიტყვები ჩონგურისა და სიმების შესახებ, რომლიდანაც ორატორის აზრით ნათლად სჩანს ქართული ერის ინტერნაციონალის ჯობა. ბატარის უფროსმა, სოსო ირემაშვილმა, აღნიშნა მეორე ლექსი აკაკი წერეთლისა, სადაც ნათქვამია: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანი რომ გასწყდეს მაშინვე უნდა შეველაო.“

და დასძინა, რომ ქართველი ტომები შემბატობილებულნი უნდა იკაფადენ ცხოვრების გზას. ამ საკითხსაც დიდი აღვლევება და კამათი გამოიწვია.

ვინაიდან ბანკეტი გავრთიანდა, ხარჯის შესამცირებლათ საქირო შეიქნა თამადის თანაშემწეთა თანამდებობების გაუქმება.

— ერთ მთავარ თამადას შეუძლია სუფრის ხელმძღვანელობის გაწევა და საქიროთ აღარ მიგვანჩნია თანაშემწეთა არსებობაო, განაცხადა ერთმა ორატორთაგანმა.

— ამხანაგებო! დაიწყო ალექსანდრე დგებუაძემ, მე ამ წინადადების წინააღმდეგ ორიოდ სიტყვა უნდა მოვახსენოთ: ჩვენ ვიცით რომ არსებობენ დიდი, იმპერიალისტური, და პატარა სახელმწიფოები. დიდებს ყოველთვის უნდათ პატარების დაზავება. ჩვენ კი ვგსურს პატარა სახელმწიფოთა დღეგრძელობა. მე მოვითხოვ დარჩენ თამადის თანაშემწენიც.

ამ განცხადებამ დიდი ტაში და სიხარული გამოიწვია. მე, საკითხი ერთ-უფლებიანობის შესახებ, წაგებულათ ჩვეთვლო, მაგრამ თამადის მოსაზრებულმა პასუხმა კითხვა კვლავ შეიზაბრუნა.

— უნდა მოვახსენოთ პატივცემულ ალექსანდრეს, დაიწყო თამადამ, რომ გვარდია ჩვეულია ანარქიის ჩაქრობას და აქ შეამზობენი ფონს ვერ გავლენ. ამით უკვე დამყარდა ერთ თამადობა სუფრაზე.

ჩვენი თამადა თავისი სადღეგრძელოების დროს მართლაც მეტოდიურის თანდა-თანობით მიმდინავდა ხულ ზევით-ზევით და ვახურებული მოღვენის ზენიტში. ჯერი ჩემზედაც მოდგა. ჩემი დღეგრძელების დროს თამადამ ვრცლად აღნიშნა მთელი ჩემი სამხედრო დამსახურება რესპუბლიკისა და გვარდიის წინაშე. მან სხვათა შორის მოიგონა ის სანეტარო წამი, როცა დარიალის ვიწრო ხეობაში ჩვენ ორნი ერთ ქვეთკრის დაბალ კედელს ვამაგრებდით. მე მგონია ეს ასე იყო. ყოველ შემთხვევაში შეძილება კედელი თითონ ვამაგრებდა ჩვენ. საქმე იმაშია, რომ აქ ძნელი გასაწაწილებელია როლები.

დღეს, როცა ჩვენ მხოლოდ ვიგონებთ შორეულს ჩვენს სამხედრო გამოსვლებს რა თქმა უნდა ადვილათ გაერკვევი საქმეში, მაგრამ მაშინ, როდესაც კედლის ძირას ომის ცეცხლში ვიყავ ვახვეული უნებლიეთ ვფიქრობდი:

— აი სად ჩამომითრია ამ სოსო გედევანი-შვილმა! რასაკვირველია, ის აქ თავის საქმეებს აკეთებს, მე კი მღუპავს. მე ვიცი რომ ის მუდამ გენერლათ არ დარჩება. დრო მოვა, ისევე დრამატურგობას დაუბრუნდება და ეს ამბავი მისთვის მშვენიერი თემა იქნება. მე კი, იუმორისტი და ჯანაბა რა ეშმაკმა ჩამომჩხირა აქ. მართალია სამხედრო მოქმედებაშიაც არის იუმორისტული ნაწილი, მაგრამ საფუძველი მისი მაინც დრამაა და დრამა ხომ სოსო გედევანი-შვილის საქმეა.

ყველაფერს ამას და ათასჯერ მეტს მე მშვენივრად ვიტყვდი ამ ბანკეტზე, რომ ლაპარაკის დროს აღვლევება და ყვირილი საქირო არ იყოს.

ჩემი სადღეგრძელო მშვიდობიანათ დათავდა. ამის შემდეგ თამადა ისევ დაბლა-დაბლა დაეშვა. აღღვრძელა პატარა გვარდიელი; ის პატარა გვარდიელი, რომელიც ისე მტკიცეთ იდგა ბზიბის ნაპირზე, რომელსაც წინ ედგა შავი კედელი დენიკინისა, რომელმაც გაარღვია ის შავი კედელი და მოუპოვა გამარჯვება საბჭოთალოს.

ლასა მგელაძემ ასწერა ის მშვენიერი ღამე 1917 წლის დეკემბრისა, როცა ამომავალმა მზემ წითლად შეღება მთისა წვერები, შესძრა ყოველნი სულდგმულნი, აპტიკიკა ფრინველები, როცა სახალხო გვარდიის პირველი რაზმი მიდიოდა არსენალის ასაღებათ.

ერთი სიტყვით ყველა ორატორის მღელვარე სიტყვაში იხატებოდა პატარა გვარდიელის სიკარგე და მე გამახსენდა დიდებული სოლომონის ეთეროვანი აფორიზმი: „რაც კარგია კარგიაო.“ მართლაც რომ ასეა.

სასიამოვნო ბანკეტი თან და თან ვამზიარულდა. ჯერი მიდგა ყანწზე და საქართველოზე. თქვენ თითონ გასინჯეთ შემქმლო თუ არა მე საქართველოს სადღეგრძელოზე უარი მეთქვა. არც ვთქვი.

ამის შემდეგ დიდი ამბები იყო, მაგრამ მე აღარაფერი მახსოვს. ეშმაკი.

ტაქტიკური მოსაზრებით.

შარტი ერთ მოქმედებათ.

(ახლო წარსულიდან).

მოქმედი პირნი:

- 1) ლევან დიდაძე—ვაჭარი.
- 2) ელენე—ამისი ცოლი.
- 3) ლადო—ელენეს საყვარელი.
- 4) უბაის კომისარი.
- 5) მწერალი, (6) მილიციონერი.


მოზრდილი ოთახი.

1.


(კომისარი საწერ მაგ დას უზის და ქაღალდებს ათვალიერებს... შემოდის ელენე).

ელენე. უკაცრავათ... კომისარი თქვენა ბრძანდებით?

ბინების მაძიებელი.



კობე ფოცხვერაშვილი. სადაც არ ჩავიხედვ ყველგან სივიწროვე და უადგილობაა.



ამობრწყინდა მზე „მუშაკის მათრახისა“ და განიბნენ ყოველნი კათაკმეველნი.

კომის. ღიახ. დაბრძანდით.

ელენე. (არ ჯდება. ერთბაშით) ბ. კომისარო, ჩემი ქმარი დაატყვევეთ!. ეხლავე უბრძანეთ მილიციონერებს!... ამას მოითხოვს ხალხის კეთილდღეობა, რევოლუციის ინტერესები! (ღელავს).

კომის. ?!

ელენე. თქვენ გაკვირვებული ხართ!. წარმოიდგინეთ, ბ. კომისარო, რა ჩაიდინა იმ რეაქციონერმა, იმ კონსერვატორმა, იმ კონტრ-რევოლუციონერმა! — ამ საღამოს დუქნიდან ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაბრუნდა სახლში და მე და ჩემს მეგობარს, — ლადოს, ერთათ მოგვასწრო. თქვენ, ალბათ, თუ პირადათ არა, შორე ახლო მაინც, იცნობთ ჩემს ქმარს. ლევან დიდაძე, ბარბაღეს ქუჩაზე რომ თევზის დიდი მაღაზია აქვს.. სწორეთ იმ დროს შემოაღო კარები იმ უზრდელმა, როცა ჩვენ ერთმანეთს თავდავიწყებით გვაცნინდით!. ლადო არ არის, ბ. კომისარო დამნაშავე. ჩემი ქმარი ყოველთვის ცხრა საათზე მოდიოდა სახლში, ამ საღამოსკი სრულიად მოულოდნელათ ექვსზე მოვიდა, — ასე რომ ლადომ წასვლა ვეღარ მოასწრო და.. დემეტო ჩემო (გააჟრჟოლებს)!.. რა ქნა, რა ქნა იმ ურჯულმომ!.. სწავდა ლადოს, ამოიღო ქვეშ და ისე მაგრათ სცემა, ისე მაგრათ იმ უმოწყალომ, რომ სულ ხზოსავით აბდავლა! (ცემით რომ გული იჯერა, მეორე ოთახში გავარდა და ბაწარი გამოიტანა. უნდოდა — შეეკრა, მაგრამ ლადო იქ აღარ დაუხვდა: მანამ ის ბაწარს გამოიტანდა, ლადომ დრო იხელთა და გაიტყვა. კინაღამ ვადაირია ის შეჩვენებული.. საღ წამიხვალ!! მი. წიდან ამოვიღებო!.. დაიწვიალა მხეცივით და უკან გამოუდგა... შეიძლება დავიწვია კიდევ.. ბ. კომისარო, დაჩქარებით მიიღეთ ზომები!..

კომის. ჩემის აზრით, თქვენი ქმრის მოქმედება საცხებით ბუნებრივია, და მე მასში ისეთს ვერაფერს ვხედავ, რომ..

ელენე. (გააწყვეტინებს) როგორ თუ ვერ ხედავთ?!

კომის. აბა რა არის თქვენი ქმრის მოქმედებაში რეაქციონურ-კონტრ-რევოლუციონური?

ელენე. თქვენ, ბ. კომისარო, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩემი ქმარი ვაჟარია.

კომის. ვაჟარობა და კონტრ-რევოლუციონერობა ერთი და იგივე არ არის, ქალ-ბატონო.

ელენე. ჩემი ქმარი მშრომელი ხალხის მტერია! მან ამ საღამოს მაღაზია წ საათზე დაეკრა და მით მთელი ამ უბნის დემოკრატიკა უზერხულ მდგომარეობაში ჩაავლო. მოგეხსენებათ რომ ქალაქის მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი — დემოკრატიკა, უმთავრესათ, საღამოებით შოულობს სურსათ-სანოვაგისა და სხვა საქარო ნივთების საყიდალათ თავისუფალ დროს. აშკარაა ისიც, რომ დემოკრატიის ყოველ-დღიურ სარჩოს, უმთავრესათ, თევზეულობა შეადგენს.. ჩემმა ქმარმა განზრახ ვაილაშქრა დემოკრატიის წინააღმდეგ; მე ამას საბუთებით დავამტკიცებ!. ჩემი ქმარი კონტრ-რევოლუციონერია!..

კომის. (ლიბილით) ქალ-ბატონო, აქ უბრალო გაუგებრობას აქვს ადგილი. ამ საღამოს ყველა სავაჟაროები წ საათზე დაიკეტა. ასეთია ქალაქის თვითმართველობის დადგენილება. ეს დადგენილება დღეიდან შედის ძალაში. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, სასტიკათ დაისჯება.

(პ ა უ ზ ა) .

ელენე. უზრდელობაც ქალაქის თვითმართველობამ ასწავლა ჩემს ქმარს?

კომის. მე ვგ არ მითქვამს.

ელენე. მინისტრისას რომ მივიდეს, სახლში ისე

შევა, რომ კარებზე არ დაკაუნებს!. (კომისარს გაეცინება).. თქვენ იცნობთ, ბ. კომისარო, და მე ყელში სისხლი მაწვევს! ამ საღამოს რომ დაეკაუნებო, მარტო ის რათ ღირდა? — ლადოს უკანა კარებიდან გავაპარებდი და ამ საშინელ ზაფხურის გადავჩრებოდი!

კომის. დაუშვავთ, რომ თქვენი ქმარი მართლა უზრდელია, — მერე რა? თქვენი დანაშაული ამით ოდნავაც არ მცირდება.

ელენე. ჩემი დანაშაული?!

კომის. ღიახ, თქვენი.

ელენე. ნეტავი რაში ხედავთ ჩემს დანაშაულს?

კომის. ქმრისადმი ლალატში.

ელენე. სოციალისტისაგან მესმის ეგ სიტყვები?!

კომის. ვფიქრობ.

ელენე. თქვენ ძალიან კარგათ იცით, ბ. კომისარო, და, თუ არ იცით, უნდა იცოდეთ, რომ რუსეთის დიდმა რევოლუციამ, სხვათა შორის, სქესობრივ საკითხშიაც მოგვანიჭა სრული თავისუფლება. ეხლა ყველა ჩვენგანს უფლება აქვს ის შეიყვაროს, ვინც მოეწონება. არავის უფლება არა აქვს სხვის გრძობას წინ აღუდგეს. ვინც ამას ჩაიდენს, ის კონტრ-რევოლუციონერია!.

კომის. თქვენ ერთობ მარტივად წარმოადგენა გქონიათ სქესობრივ თავისუფლებასზე... საინტერესოა ვიცოდეთ: რატომ ამდენხანს არ გაეყარეთ ქმარს და არ გაპყვეით იმ თქვენს სასურველს?

ელენე. ლადო ღარიბია, და თავს ვერ ვიჩინებდი. ის კი არა და სახარჯო ფულს პირიქით მე ვაძლევდი მისი ქირიმის..

კომის. ქმრის ჯიბიდან, რასაკვირველია.

ელენე. უკაცრავათ, ჩემი და ჩემი ქმრის ჯიბე ჯერ არავის გაურიგებია!

კომის. სულ ეს არის თქვენი ქმრის დანაშაული?

ელენე. ღმერთო ჩემო!.. რათ ვერ გაიგეთ, რომ ის მე მომეკლავს?!

კომის. მოერიდეთ.

ელენე. როგორ?

კომის. როგორც მოახერხოთ.

ელენე. ეს არის თქვენი კანონი? ასე იცავთ ადამიანს ძველი რეჟიმის მომხრე მხეცისაგან? ამას ჰქვიათ თავისუფლება? ამიტომ გავგებარდა ქვეყნის გადაბრუნება? არა, ბ. კომისარო, მე... (მომისმის ხმაურობა. ლევანის ხმა: **შედი, შედი შენ, ავაჯაკო!** კომისარო წამოადგება).

ელენე. (შეშინებული) ჩემი ქმარი!.. დაუჭერია!. მოჰყავს! (აქეთ-იქით ეცემა, მაგრამ დამალვას ვერ ახერხებს. ბოლოს კომისარს ამოეფარება და მუდარით ეტყვის: **დაშეფარეთ, არა სთქვათ, რომ აქა ვარ, თორემ დავიღუპები!** ამ დროს კარები გაიღება, და გამოჩნდება ცხვირ-პირ დალილავებული და ხელზე შეკრული ლადო, რომელსაც საყველოში ლევანი ჩაფურენია და პანტურის ცემით შიგ შემოჰყავს.)

2.

ლევ. (ლადოს მიიყვანს და ტახტზე დააჯახებს) დაეგდე! (ცხვირ-სახოკით ოფლს იწმენდს) უფ!.. ბ. კომისარო, ამედიამ ვაგებატონს ღირსეულათ გაუმასპინძლდებით

კომის. სხვა რაღა გუყოთ, ჩემო ძმომ? სიკვდილის მეტი აღარაფერი მიგიკლიათ და...

ლევ. (გააწყვეტინებს) მაგისტანა მხეცი სწორეთ სიკვდილით უნდა დაისაჯოს!

კომის. თქვენ, ალბათ, დაგვიწყებით, რომ ახალმა მთავრობამ სიკვდილით დასჯა გააუქმა.

ლევ. არც მავისთვის შეგაწუხებთ. მე თითონ.. (ლალოსთან მიდის და კარებისაკენ უჩვენებს) გეთ!

ელენე. (კომისარს) არ ვაატანოთ!.. მოჰკლავს!

კომის. (ლევანს) მოითმინეთ!.. (უნდა მივიდეს).

ელენე. (ფურცელში ჩააფრინდება და არ უშვებს) და-მინახავს!. მომკლავს!

კომის. (თავისთვის) აი მდგომარეობა!.. (ლევანს, რომელიც ლალოს ქორსავით დასცქერის და მზათ არის თავზე რისხვით დაეცეს) გავგაგებინეთ, კაცო, -- რაშია საქმე?

ლევ. (ლალოს თავს დაანებებს) ცოლმა მიღალატა, ბ. კომისარო, ცოლმა!.. აი ამ ლაფირაკში გამცვალა!

კომის. დანამდივლებით იცით ეს?

ლევ. შევესწარი, ბ კომისარო, -- აი ამ თვალებით დავინახე ჩემი სიკეთე!

კომის. თუ ასეა, აიღეთ და მოიცლიეთ თავადან... გაუშვით.

ლევ. რაო! ცოლი გავუშვებ?!

კომის. გყავდეთ, ბატონო, გყავდეთ!

ლევ. რა ჯანდაბათ მინდა?!

კომის. აღარ ვიცი, ღმერთმანი, -- რა გირჩიოთ!

ლევ. თქვენი რჩევა ჩემთვის საჭირო არ არის. თქვენ ამ ავანაჟს გაუჩინეთ შესაფარი ბინა. ჩემს ცოლს მე თითონ გაუსწორებთ. ტყვია შიგ შუა-გულ შუბლში, (ელენეს ტანში ყრუანტილი დაუვლის) აი ჩემი ცოლის ჯილდო! მაშინვე უნდა გამეციებოთ, მაგრამ რაღაი! ველარ მოვიცალე მისთვის; მაგრამ სულ ერთია, -- აწვეც მოუთავებ ხელს.

კომის. თქვენ, ალბათ გათვალისწინებული გექნებათ იმ პასუხისმგებლობის თელი სიმძიმე, რომელიც თქვენ, მკვებს გარეშეა, დაგატყდებათ თავზე, თუ მართლა ასეთი დანაშაული ჩაიდინეთ.

ლევ. არაფერიც არა მაქვს გათვალისწინებული. არც რაიმე პასუხს ვაგებ. ჩემს ცოლს მე მოვკლავ, -- ეს რა უნდა?! მაღლობა ღმერთს, ძველი ღრთ აღარ არის ეხლა!

ლალო. მეტიც მოთმენა აღარ შემიძლია!.. (წამოღებდა) ბ. კომისარო, ეგ რა არის (შეკრულ ხელებს უჩვენებს)?!. ნიკოლოზის საკატორლო ციხეში ვზივარ, თუ რა ამბავია ჩემს თავზე?!

ლევ. (ირონიულად) არ მოვწონს?

ლალო. მე თქვენ გეკითხებით, ბ. კომისარო!

ლევ. (გულ-მოსული) მე კიდე შენ გეუბნები: დაიგდებ საქ, თორემ!..

ელენე. (თავისთვის) უსინდისო!

კომის. (ლევანს) დამშვიდდით! (ლალოს) იცით, მე-გობარო, რას გეტყვით?..

ლალო. (გააწყვეტინებს) რაც უნდა მითხრათ, ერთი რამ მაინც აშკარაა: თქვენ, როგორც დემოკრატიული მთავრობის მოხელე...
კომის. (მედიდურად შენიშნავს) მე კომისარი ვარ და არა მოხელე.

ლალო. თქვენ, როგორც დემოკრატიული მთავრობის კომისარი, ვალდებული ხართ -- სასტიკათ დაიცვათ პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპი!
ელენე. (თავისთვის) მართალია.

ლალო. განა ძველი რეჟიმი, რომ...
ლევ. (შუუყვირებს) ხმა გაკმინდე!!

ლალო. თქვენს უბანში უსაშინელესი ბოროტ-მოქმედება მოხდა! თქვენ კი...
ლევ. ხმა შეთქი!

ლალო. ვილაც ხებრე, მხეცი!..

ლევ. ხმა!.. (მიირბენს და ცხვირში ამოჰკრავს).

კომის. მოითმინეთ!

ლალო. (კომისარს) დამიცავით ამ ბარბაროსისაგან!

ლევ. დაეხარჩობ! (ეცემა, იატაკზე დაანარცხებს და ყელში ხელს წაუჭირებს) დაეხარჩობ!

კომის. რას სწაიხიხართ? (მივარდება და ხელს სტა-ცებს) თავი დაანებეთ!.. ხელი!..

ლევ. მოვკლავ მაგ ბანძურს! დაეხარჩობ!..

(ელენე პირველად შიშისაგან ცხცახს დაიწყებს, მაგრამ მალე რალაც აზრი გაუბრუნს თავში და იმედის სხივით სახე გაბრწყინებული გარეთ გაიბარება).

3.

კომის. ხელი შეთქი!.. (ხმაურობაზე მეორე ოთახიდან გამოვლენ მწერალი და მილიციონერი).

4.

კომის. დაიჭირეთ ეგ გადარეული! (მეშველებიან, ლევანს კუთხეში მიიყვანებენ და გააჩერებენ.. ლალოც წამოადგება).

ლევ. ვიამა?

კომის. ჩუმათ!

ლალო. (მუქარით) ვნახოთ...

კომის. (ლალოს) თქვენც მოუტკელით ცოტა ენას! (მიდის და ხელებს უხსნის).

ლალო. მე ასე ადვილათ არ გადავცლაპავ ამ შეუ-რაცხყოფას! (ჯდება).

მწერალი, რაშია, კაცო, საქმე?

კომის. ეშმაკმა წაიღოს ამთი თავი! (თავის ადგილზე ჯდება) მხეცება სწორეთ!

მწერალი. (დაბალი ხმით) რა, ხალხია, რა უნდათ?

კომის. მერე ვიამბობ ყველაფერს. (მწერალი გადის).

5.

კომის. (მილიციონერს) შენ შორს არსად წახვიდე! **მილიციონერი.** არა, ბატონო. (გადის).

6.

კომის. მე თქვენ გიჩვენებთ სიერს!.. (კარები გაი-ღება, და შემოდის ელენე. მისი გამოჩენა საერთო გაკვი-რვებასა და განცვიფრებას იწვევს).

7.

ელენე. მბაბტიეთ.. კომისარი თქვენა ხართ?

კომის.?!!

ელენე. (მიუახლოვდება და ჩაულაპარაკებს) აბა თქვენ იცით...
კომის. რა ვნებათ?

ელენე. ეს ჩემი ქმარია, ბ. კომისარო. მაგი არა-ფერში არ არის დამწაზავე. მართალია, ის ქუჩაში დაი-ჭირებს, როგორც წყვირებს და მრღვევი, მაგრამ...
ლევ. (დაუყვირებს) რას ბოდავ, დედაკაცო?!

კომის. (ლევანს) მოითმინეთ! (ელენეს) თქვენი ქმა-რი ჩვენ არ დაგვიტყვევებია. მან თითონ მოიყვანა აქ აი ის კაცი და განაცხადა: ჩემს ცოლთან შევესწარი და და-ვიჭირეო. თქვენ ის ბრალს გდებსთ ლალოტში.
ელენე. ვინა? ჩემი ქმარი?!

კომის. დიახ, თქვენი ქმარი.

ელენე. ლევან, კომისარი მართალს ლაპარაკობს..?!

ლევ. დედაკაცო, მობრუნდა და სახლში წადი! აქ ნუ დამაქციევენ შენს სისხლს!

ელენე. მაშ, მართალს ამბობს კომისარი?!

ლევ. ქალო სახლში წადი მეთქი!

კომის. ქალბატონო, თქვენ ქმარს თქვენთან უნახავს ეს ახალგაზრდა; თქვენ, თურმე, ერთმანეთს კოცნიდით. ეს არ არის მართალი?

ელენე. (მტკიცეთ) მართალია.

კომის. მაშ რაღათ ამბობთ—ღალატი არ ჩამიდენიაო.

ელენე. არ ჩამიდენია და მითომ პირიქით,—მე ამით დავიცავი ჩემი ქმრის ნამუსი და პატიოსნება! ჯერ კარგათ ვაიგეთ საქმის ვითარება და მერე სთქვიეთ—მართლა მიმიძღვის რაიმე დანაშაული, თუ არა? სახლში მე მართო ვიყავი, როცა ოთახში ეს მხეცი შემომივივარდა და ნამუსის ახდა მომინდომა...

ლადო. რას ამბობს!!!.

ელენე. თვალებს ამოგხბრი!.. (მივარდება და თავში ჩაჰკრავს, თან ჩაულაპარაკებს: **სხვა გზა არ არის.. შვათ იყავ გასაქცევათ**), ბინძურა, გადათრეულა!. (კომისარს) მე არ დავნებდი, მაგრამ განა დიდხანს შემეძლო წინააღმდეგობის გაწევა სუსტ ქალს ამოდენა ვიქცისათვის? მდგომარეობა ასეთი იყო: ან უნდა დავნებებოდი, ან ისეთი რამ ხერხი მეხმარა, რაც შედარებით პატარა მსხვერპლის გაღებით თავიდან ამაშორებდა საშუალო შერცხვენასა და სახელის გატეხას... ძალით რომ ვერას ვაგებდი, ისევ ალერსი დაუწყევი მაგ შეჩვენებულს.. მე ვიცილდი, რომ ამ საღამოს დუქნები აღრე დაიკეტებოდა, და—საცა იყო—ჩემი ქმარიც მოვიდოდა. ის, რაც მე ჩავიდინე, ბ. კომისარო, შექმნილ მდგომარეობით იყო გამოწვეული, და ჩავიდინე მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით. პრინციპიალურათ, რასაკვირველია, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი—და ეხლაც წინააღმდეგი ვარ—ასეთი საქმის... თითო კოცნა თითო წლის სიცოცხლეს მავლებდა, მაგრამ აბა რა უნდა მექნა, როცა სხვა საშუალება არ იყო? კარებზე ორი ბოროტება მომადგა, და მე მათგან უმცირესი ავირჩიე. ნაძალადევი ალერსით მე ის შევექციე, დრო ვაიყვანე;—ამასობაში ქმარმაც მომისწრო, და ოჯახი შერცხვენასა და საქვეყნოთ თავის მოქრას გადარჩა. და თუ მე ამას ღალატით მითვლიან, ჩემი სიცოცხლე მაინც არ ღირებულა... ჩემის ხელით მოვიკლავ თავს!

კომის. რას იტყვით, ბ. ლევან?

ლევ. (არაფერს არ ამბობს).

ელენე. მაგას არ სჯერა ჩემი სიმართლე!.. მომეცით!. (ხელს წაიღებს კომისარის მაგიდაზე მდებარე რევოლვერისაკენ).

კომის. რას შვრებით!. (მსწრაფლ ააცლის და ჯიბეში იღებს).

ლევ. თავს დავიწვავ!. (ასანთს სტაცებს ხელს).

ლევ. ქალო! (მივარდება და ხელში ეცემა).

ელენე. თავი დამანებე!. მომეცი!.

ლევ. ხელი გაუშვი!.. ხე . . ა!. (სულს ჩაუბრავს და გაიარბს).. გაუშვი ხელი...

(კომისარი წუმწუმას აანთებს).

8.

ლევ. რას მიშვრები, ქალო?!

ელენე. სულ-ერთია, თავს მაინც არ ვადავირჩენ!

ლევ. (ხელს გაუშვებს) რატომ, ქალო?—რა დავაშავე ისეთი? განა არა მჯერა შენი სიტყვები?

(კომისარი ასანთს გააჩაღებს).

ელენე. მე ისეთი უბედური ვარ, ისეთი... (გული აუჩვილებდა და ატირლებდა).

ლევ. ელენე!..

კომის. ის კი...

ლევ. (მხოლოდ ეხლა შეამჩნევს, რომ ლადო გაპარულა) სად წავე?! (კარებისაკენ გაექანება, მაგრამ ისევ შედგება) ჯანდაბას მისი თავი!

კომის. აი რა გვიყო იმ აურ-ზაურმა!

ლევ. არაფერია..

კომის. მალიციონერებს მაინც გამოვუყენებ, შეიძლება. (მეორე ოთახისაკენ მიდის).

ლევ. ნუ სწუხდებით, ბ. კომისარო. (კომისარი შეჩერდება).. ისარგებლა შემთხვევით და რაღაი! ეხლა უკვე სამშვიდობოს იქნება გასული.

ელენე. ასე გინდოდა შენ!

ლევ. (საყვედურის კილოთი) არ გრცხვენია, ელენე?. (პაუზა). თუ კაცი ვარ, ასე ადვილათ არ შევარჩენ შენს შეწუხებას! მიწაში ხომ ვერ ჩაძვრება? ცნობით ვიცნობ, საცა უნდა შემხედვეს.

კომის. ასეც რომ არ მოხდეს, განა საკმაოდ არ არის დანაყოლი?

ლევ. შენ რას იტყვი, ელენე?

კომის. ელენეს, როგორც სჩანს, უფრო მეტი სასჯელის ღირსათ მიაჩნია.

ელენე. რატომ არაა?!. თქვენ რა იცით,—მე რა დღე დამადგა! ქმარმაც!.. (კრემლზე მოერევა)..

ლევ. ელენე!. აკი ალვიარებ—შეეცი მეტეჟი. საქმის ნამდვილი ვითარება რომ მცოდნოდა, განა კრინტს დავძრავდი? ცოლა დავწამე, მაგრამ მე კი ვარ იმის კაცი, რომ ეგ დანაშაული გამოვისიყო.

კომის. მეტი რაღა გინდათ, ქალ-ბატონო ელენე? ჩემის აზრით, თქვენი ქმრის განმარტება საგნებით დამაკმაყოფილებელია.

ელენე. მანაკაკები ყველანი ასეთები ხართ.. ერთმანეთს უჭერთ მხარს.

კომის. (ღიმილით) ტყუილათ გვინათ აგრე.

ლევ. (ელენეს) კარგი, თუ ვიყვარდი..

კომის. (თავისთვის) კვდება შენი სიყვარული.. (ჯდება).

ლევ. მოიწმინდე ეგ თვალები.

ელენე. (თვალებს იწმინდს, თმებსა და შარფს ისწორებს).

ლევ. (ეხმარება) ეგრე...

კომის. (ოდნავ იღიმება).

ლევ. მე შენი ლევანი არა ვარ?.. (ქუჩაში ეტლი ჩამოივლის) ეტლი!. (უანჯარას მიადგება და გადასძახებს: **დადექი!** ეტლი გაჩერდება). ღამე მშვიდობისა, ბატონო კომისარო (ხელს გაუწოდებს).

კომის. (წამოდგება და ხელს ჩამოართმევს) ნახვამდის.

ლევ. ბოდიშს ვიხდით შეწუხებისათვის... აბა, ელენე,—წავიღეთ, ვენაცვალე! (კომისარს) იმედია, —არ დავგძრახავთ. ნახვამდის..

კომის. გამარჯვებით.

(ლევანი გადის).

ელენე. (კომისარს) უსაზღვრო მიღობა.. (ხელს ჩამოართმევს).

კომის. (ხელს დაუტერს) მეტი არაფერი?!..

(ფ ა რ დ ა).

d.

ინსტიტუტი ჰარმონიულ განვითარებისა.



ფანჯრიდან. როგორც იქნა დავაბინავე ეს სასარგებლო დაწესებულება...

